ნე რუსეთის ძლიერი სახელმწიფო ხელს შეუწყობდა ქართლ-კახეთის სამეფოს შემდგომ წინსვლას, მაგრამ საქართველოს საგარეო პოლიტიკური ვითარება ისევე შეიცვალა. დიდი სახელმწიფოები გააქტიურდნენ და კვლავ დაიწყეს ბრძოლა ამიერკავკასიის დასაუფლებლად, გამწვავდა მდგომარეობა ქვეყნის შიგნითაც, ერთმანეთს ეპიშვებოდნენ ფეოდალები, სამეფო კარზე გაჩაღდა ინტრიგები, მრავალრიცხოვანმა ბატონიშვილებმა დაარღვიეს სამეფო დომენის მთლიანობა. ყველაფერი ეს გადაულახავ სიძინელედ გადაეღობა ქვეყნის განახლებად-სამეფოების ერთუღველად გეგმებს. ამას დეერთო აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა და თბილისის აოხრება 1795 წელს.

ერეკლე II-მ დიდი კვალი გაავლო ქართველი ხალხის ისტორიაში. მეფემ სიცოცხლის დიდი ნაწილი ლაშქრობაში ვატარა და ხშირად უბრალო ჯარისკაცოვით ცხოვრობდა. სწორუბოვარმა მხედრომთავარმა და მიომარ-მა სიცოცხლოთი პატივისცემა და სიყვარული მოიპოვა. ხალხმა მის აღერსით „ვაატარა კახი“ უწოდა. ერეკლეს პირივნება, მისი საქმეები ფართოდ აისახა ქართველი ხალხის შემოქმედებაში, მისი სახელი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სიმბოლოდ იქცა.

ერეკლე მეორე გარდაიცვალა 1798 წლის 11 იანვარს, დაკრძალულია მცხეთაში, სვეტიცხოვლის ტაძარში.

II. ნიკოლოზ ბარათაშვილის პოემა „ბედი ქართლისა“ დაიწერა 1839 წელს. პოემის სიუჟეტს საფუძვლად უდევს რეალური ისტორიული მოვლენა — აღა-მაჰმად-ხანის მიერ 1795 წელს თბილისის აღება, რამაც ფაქტობრივად განაპირობა საქართველოს მომავალი მედიდობა. პოემაში აღწერილია ქართველთა ლაშქრის სამკედრო-სასიციოცებლო ბრძოლა ურჯულთა ქარბი ძალების

წინააღმდეგ კრწანისის ველზე მოხუცი გმირი მეფის მეთაურობით. პირველ დღეს გამარჯვება ქართველებს დარჩათ, მაგრამ ერეკლე ფრიად დაღონებული იყო, რადგან ამ დღეს მრავალი ქართველი ვაჟიცაო შეაწყდა მტერს. შემდეგ აღწერილია ბრძოლის ერთი დღე, როცა მომხდურთა ურდომ მოღალატეთა დახმარებით ქალაქში შეადგინა და სასტიკად ააოხრა იგი. პოემის მეორე ნაწილში აღწერილია სურათი, როცა მეფე ერეკლე და მისი მსაჯული სოლომონ ლიონიძე „ქართლის ბედსა განსამართლებდნენ“, მეფის მხარეზეა ისტორიული სიმართლე და ქეშმარიტება. მას ღმრად აქვს შეგნებული ისტორიული ბედისწერის გარდაღებლობა. სოლომონ მსაჯული, ასევე გულშეურავლე პატრიოტი და აღიარებული ბრძენკაცი ენ ერეკლესთან პაექრობისას ძირითადად ადამიანური ბუნებისა და „ერის თვისების“ ცნებებს ეყრდნობა. ეს დავა, ემოციურ შთაბეჭდილებათა თვალსაზრისით, სოლომონ მსაჯულის სასარგებლოდ წყდება, მაგრამ საბოლოოდ, ობიექტურად, პოემამში მაინც ერეკლეს სიბრძნე იმარჯვებს. „ბედი ქართლისა“ ნიკოლოზ ბარათაშვილმა ოცდამეორე წლისამ დაწერა. მიუხედავად თანდაყოლილი რომანტიკული სულიერი წყობისა, ქაბუჭ პოეტს რეალობის უადრესად მძაფრ გრძნობა აღმოაჩნდა. თავის ორ უბრწყინვალეს ქმნილებაში, — „ბედი ქართლისა“ და „საფლავი მეფის ირაკლისა“ მან საოცარი სიღრმით განიხილა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები. ამ ნაწარმოებებში უზარმაზარი ისტორიული როლი შეასრულეს ეროვნული შეგნების ფორმირების თვალსაზრისით, როგორც გამოჩენილი ქართველი მეკლდევარი პავლე ინგოროყვა წერს, ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“ განუღმებია გავლენა იქონია მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა სიცოცხლეში სვე-გამწარებულ გენიოსს ერის სათაყვანებელი შვილების გვერდით, მთაწმინდაზე მიუჩინა სამუდამო განსასვენებელი.

1982 წლის 31 ოქტომბერს თბილისში, ანჩისხატის ქუჩის № 17-ში გაიხსნა ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმი. ამიერიდან აქ ადამიანები მოვლენ, რომ ეხილონ იმ აბეზისფერის, რომელიმე 1841-45 წლებში ცხოვრობდა უკვდავი „მერანის“ ავტორი; ამავე დროს, ეს იქნება ცოცხალი, მოქმედი სახლი. იგი აღორძინებს ლიტერატურული საღონების ტრადიციებს, გახვედა პოეტებისა და პოეზიის მოყვარულთა შეხვედრების ადგილი.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმის გახსნა ეროვნულ ზეიშად იქცა. მის გახსნაზე სკვპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ანხ. ეღუარდ შეგვარდნაძემ განაცხადა:

„...თბილისის ძველი, ისტორიული უბნის ეს პატარა სახლი, რომელშიც ჩვენ დღეს ვიმყოფებით, ერის დიდი ძეგლია. კედლებიდან გვიმზერენ ერეკლე მეო-

რის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, სოლომონ ლიონიძის, ალექსანდრე ქავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ილია ქავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვახტანგ მუხომანდიაშვილის, დიმიტრი ყუიდიანის, პეტრე მარტოვიძის, ალექსანდრე გრიბოედოვის, ნინო და ეკატერინე ქავჭავაძეების, მანანა და შაჰო ორბელიანების და სხვა მამულიწველთა; ფილიტეტურ და საზოგადო მოღვაწეთა, პოეტთა, ჯილოსათვისთა, სამშობლოსათვის აწვადებულ ადამიანთა ნათელი სახეები...“

...ქართულ მწერლობაში, ქართულ პოეზიაში მხარა-თაშვილის სახელი ბრწყინავს რუსთაველის, გურამიაშვილის, ქავჭავაძის, წერეთლის, ვაჟა ფშაველას, ვალკატორის პოეტურ თანავარსკვლავდებში...“

...ბარათაშვილის სახელი დღას ბაირონის, ჰუშკინის, ლერმონტოვის, მიკევიჩის, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა სხვა ბრწყინვალე სახელების გვერდით...“

„უმათსვლამ არათუ ვერადფერი დააკო, პირიქით, რაც დრო გადის, — სიმძლავრე და დიდება ემატება ბარათაშვილის შემოქმედებას“...“

III. მას შემდეგ, რაც ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობა გაუქმდა, საქართველოში რუსული მმართველობა დამყარდა. მიუხედავად ამისა, მტერთაგან მრავალგზის შეეწირებულა და განაწამებმა ხალხმა შეგნებთ ამოისუნთქა. იგი ხარბად დავითა რუსეთის მოწინავე კულტურას და რუსეთის გვირაბი რა დასავლეთ ევროპის პროგრესულ-განმათავისუფლებელი იდევებს. ამ უდიდესი საყვარელი მიუხედავად, საქართველოს რუსეთთან შეერთების გამო ქართველმა ხალხმა მთლიანად გაიზიარა მეფის თვითმპყრობელობის ბატონობის ქვეშ მყოფი რუსეთის მშრომელთა მძიმე ხვედრი. როგორც ცნობილია, მეფის თვითმპყრობელობა სასტიკად თრგუნავდა რუსეთის მშრომელ ხალხს, ხოლო განაპირა მხარეებში კოლონიურ პოლიტიკას ახორციელებდა. რუსეთის მოწინავე საზოგადოება დასაძულად შეებრძოლა თვითმპყრობელურ რეჟიმს, განაპირა მხარეებში მცხოვრებმა ხალხებმა კი მეფის სოციალური და კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლით უპასუხეს.

ქართული საზოგადოების მოწინავე ნაწილის 1832 წლის შეთქმულმა საქართველოში დეკაბრისტების ზეგავლენას განაცდიდა და სწორედ მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ იყო მიმართული. მართალია, შეთქმულება გასცეს და მის მონაწილეებს მკაცრად გაუსწორდნენ, მაგრამ ბრძოლას უკვლილ არ ჩაუვლია. მან შემახადა ნიადაგი მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შემდგომი ეტაპისათვის, როცა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ „თეოკრატულულები“.

ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე უდიდესი სასიყვარო გავლენა მოახდინა რუსეთის რევოლუციური დემოკრატთა იდეებმა. რუსი ხალხის გა-

მოჩენილი შვილების — ბ. ბელინსკის, ა. გერცენის, ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლინოვის გავლენით ჩამოყალიბდა სამოციანელთა — „თერგდალეულთა“ მრეწამსი.

IV. მე-19 საუკუნის 60-იან წლებში რუსეთში განახლებამიღებულ ქართველ ახალგაზრდებს, რუსეთის რევოლუციური დემოკრატიის იდეებზე აღზრდილ ქართველ განმანათლებლებს კონსერვატიულად განწყობილი მოწინააღმდეგენი „თერგდალეულებს“ უწოდებდნენ.

„თერგდალეულთა“ ნაწილი აშკარად შეებრძოლა კონსერვატორებს ჟურნალ „ციცრისა“ და „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე. ბრძოლა ძველ და ახალ თაობებს შორის ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხებზე დაიწყო. „მამებისა“ და „შვილების“ ბრძოლა არსებითად იყო შეტაკება ბატონყმური წესის მოწინააღმდეგეთა და მომხრეთა შორის. იდეური ბრძოლა ბატონყმობის წინააღმდეგ დიდმა ილია ჭავჭავაძემ დაიწყო, მას მხარი მისცა ა. წერეთელმა, ქ. ლორთქიფანიძემ, გ. წერეთელმა, კ. აბაშიძემ. „თერგდალეულებმა“ ახალი სული შთაბერეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეებს, მეცნიერულ დონეზე დაამუშვეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხები. „თერგდალეულებს“ ისტორიის შემოქმედად ხალხი მიანდათ. მათ სრულიად ახლებურად დაყენეს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი საქართველოში.

„თერგდალეულებმა“ დიდი როლი შეასრულეს ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების განვითარების ისტორიაში.

V. ცარიზმის პოლიტიკის წინააღმდეგ ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციების ბრძოლას სათავეში ედგნენ იოსებ სტალინი, სერგო ორჯონიძე, სტეფანე შაველიანი, ლადო კეცხოველი, ალექსანდრე წულუკიძე, მიხა ცხაჯია, ფილიპე მახარაძე, ალექსანდრე ჩანსიაოვი, მეშვიდი აზიზბეკივი, ნარიმან ნარიმანოვი და სხვები, რომლებიც რაზმადნენ მშრომელ მასებს მარქსიზმ-ლენინიზმს და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშის ქვეშ, ანტიხალხური იდეოლოგიის, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების პოლიტიკის წინააღმდეგ საბრძოლველად.

VI. გეორგიევსკი ქალაქია რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის სტავროპოლის მხარეში. ქალაქი დაბალ ზეგანზე მდებარეობს მდინარე ზაფსუფის ნაპირზე (მდ. კუბის შენაკადი). იგი გეორგიევსკის რაიონის ცენტრია. ქალაქი გაშენებულია საქვეყნოდ ცნობილი კურორტების — პიატგორსკის, სისლოვოდსკის, მინერალნიე ვოდის, ენტეტუსის, ევლენსოვოდსკის მახლობლად. აშენდა რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, 1777 წელს და თავდა-

პირველად აზოგ-მოზღოვის გამაგრებული ხაზის ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა.

1786 წელს სიმაგრესთან წარმოქმნილი დასახლება ჯერ სიმაზრო, შემდეგ კი სავეტერინო ქალაქად ჩქ. ზოგიერთი სამარწყველო საწარმო გეორგიევსკი რაიონის სავეტერინო ბოლოს გაჩნდა. იგი ცნობილია გარკვეული მდიდარი რევოლუციური ტრადიციების ქალაქი.

თანამედროვე გეორგიევსკის მოსახლეობა 50 ათასზე მეტია. იგი მნიშვნელოვანი სამარწყველო ცენტრია მთელ სტავროპოლის მხარეში. სკამპარისია ითქვას, რომ აქ არსებული არმატურის ქარხანა ერთ-ერთი უდიდესია მთელ საბჭოთა კავშირში. გარდა ამისა, გეორგიევსკი არის ავტოსარემონტო, ავარის, საგრენეო, ბიოქიმიური, ტყავის ქარხნები. ქალაქში კარგად განვითარებულია კვების მრეწველობა, რომლის პროდუქცია ფართოდ არის ცნობილი არა მარტო ჩრდილო კავკასიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ქალაქში არის ზუსთახდელი, საკონსერვო, რძის, ღვინისა და ლუთის ქარხნები, მეხორცეობა-მეფრინველეობის კომბინატი.

გეორგიევსკი ახალგაზრდული ქალაქია. აქ არის შვიდი საშუალო სკოლა, ოთხი პროფტექნიკური სასწავლებელი, ორი ტექნიკური, მუსიკალური, სამხატვრო და საპორტული სკოლები, კინოთეატრები, ბიბლიოთეკები.

ქალაქი მწვანეშია ჩაფლული. აქ მრავალი პარკი, სკვენი, დაიყვანეს ზონადა.

გეორგიევსკელები ამყობენ, რომ სწორედ მათ ქალაქში დაიღო ცნობილი ხელშეკრულება, რომელმაც შემდგომ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა არა მარტო რუსეთ-საქართველოს, არამედ რუსეთ-ამიერკავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

1775 წელს დამოუბილდნენ ახმეტისა და გეორგიევსკის რაიონები. მას შემდეგ იხიწი შრომანაც, მშობასა და მეგობრობაზე უკებზებანა ერთმანეთს. 1982 წელს გაფორმდა ხელშეკრულება ქალაქების გორისა და გეორგიევსკის დამოუბილდების შესახებ.

გეორგიევსკიში კარგა ხანია ემზადებიან საიუბილეო თარიღები — გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავის შესახებდრად.

VII. ქ. გეორგიევსკის მახლობლად, საუკუნოვანი მუხებით დაბურულ თვალწარმეტაც ადგილას დმდებარეობს ბიონერული ბანაკი „ისკრა“. აქ ყველა პირობაა შექმნილი მოსწავლეთა შინაარსიანი და ხალისიანი დასვენებისათვის. ბავშვების განკარგულებაშია ნათელი, ლამაზი კორტეჟები, საპორტული მოედნები, სტადიონი, საცურაო აუზი.

ყოველწლიურად, ზაფხულის არდადეგების პერიოდში, გეორგიევსკის რაიონთან დამოუბილდებული ახმეტის რაიონის შრომელთა ბავშვები ბიონერულ ბანაკ „ისკრაში“ ისვენებენ. ზოგნი კი გეორგიევსკელ თანა-

ტოლებს პიონერულ ბანაკ „ავეტერაში“ მასპინძლობენ. ტრადიციად ქვეული მეგობრობა გრძელდება.

VIII. საქართველოში კარგა ხანია დაიწყო სამზადისი გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის შესახებ დროა. რუსეთ-საქართველოს ურთიერთდამხმარებმა ამ ხელშეკრულებამ წარუშლელი კვალი გაავლო ორი ხალხის ეკონომიკურ და სულიერ ცხოვრებაში. გეორგიევსკის ტრაქტატმა თავიებური დღეობის როლი შეასრულა ქართული და რუსი ხალხების მეგობრობაში, რომელსაც კვირ კიდევ მეორემეტე საუკუნეში, საქართველოს კულტურული რენესანსის ეპოქაში ჩაეყარა საფუძველი.

წორედ რუსი და ქართველი ხალხების და მთელი აპკოთა ხალხის წარსულ მეგობრულ კონტაქტებს და თანამედროვე მშური ოჯახის ჩანსად ფევედის მივებნება გაზეთ „კომუნისტის“ და საქართველოს ეურნალისტტთა კავშირის მიერ მოწყობილი ეურნალისტური ექსპედიცია. ამ თაოსნობაა მხარი დაუჭირა საქართველოს კომპარტიის ენტრალურმა კომიტეტმა, რომლის სამდიენომ სტეციალური დადგენილება მიიღო და ამით ექსპედიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა და მასშტაბი მიანიჭა.

ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი მებდრები 1981 წლის 27 ივნისს გავიდნენ თბილისის სახელმწიფო იპოდრომიდან და შორეულ გზას გაუდგინენ.

ეურნალისტური ექსპედიციის მონაწილეებმა ჩვენი წინაპრების მსგავსად ცხენებით იმოგზაურეს ქ. ასტრახანამდე, სადაც მიიწინეს ტაძარში ქართველი ერის გადარჩენისათვის მებძოლი მეფეების — ვახტანგ VI-ისა და თეიმურაზ II-ის საფლავზე მიიტანეს სამახსოვრო ფილა, შემდეგ მანქანებით ჩავიდნენ ქ. გეორგიევსკში, სადაც 1783 წელს დაიდო „გეორგიევსკის ტრაქტატი“ სახელით ცნობილი სამეგობრო ხელშეკრულება.

ექსპედიციის წევრებმა ორმოცი დღის განმავლობაში ორიათას კილომეტრზე მეტი გაიარეს, ექვს მებზომელ ავტონომიურ საბჭოთა რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში შეხვდნენ მოსამე ერების წარმომადგენლებს. მოგზაურობის მსვლელობას ისტემბეტურად აშუქებდა გაზეთი „კომუნისტი“; მოგვიანებით კი გაზეთ „თბილისში“ დაიბეჭდა ნარკვევების ციკლი, რომელშიც აისახა ამ საინტერესო ექსპედიციამ მიღებული უშუალო შთაბეჭდილებები.

ვიტორინის მასინერული კონსულტანტი — ისორიულ მასინერაბათა ლობტორი, პროფესორი, საპარტიალოს სსრ მასინერაპის დამსახურებული მოღვაწე ვიორკვი კაიჭაძე.



სიონის მამულები
რაც დრო გადის

რაც დრო გადის,
უფრო ხშირად მელანდება
სიყმაწვილის სურათები
ფეად-ფერადები.
მათი შუმი
შუქ-ჩრდილები — ქვარადები —
მაგონდება
და დღეები მემატება.
რაც დრო გადის,
შუაკველი სიყრმის ჭამი
სულ უფრო და უფრო მძაფრად
მენტრება.

მას იისფერი თვალები ჰქონდა,
თვითონაც იას მოჰვაგდა კდემით;
იისფერივე შევწოდა კოფთა
და შეჰხაროდა გოგონას თემი.

ობოლი დღელით,
ობოლი მამით
ჰყვაროდა იად პატარა სოფლის.
— ისაროს!
ერთხმად ისმოდან:
— ამინ!
და კვერი თითქოს
ცხვებოდა ობლის.

მარამ... ნაზღადა, უგულო ცვლით
გადაითბა თოთხმეტი წელი...

...პოი, რა მძიმედ
იმ ღამეს თოვდა!
ხეობას თერთად მოელო მწუნხრი.
თბილ სამარესთან
ყმაწვილი თრთოდან,
ჩამდგარი თოვლში
ორივე მუხლით...

მას შემდეგ ხანი
გავიდა ბევრი,
იმ ყმაწველს ახლა
ჭადარა მოსავს;
ყოველ წელიწადს
ის გულის მგერი
ხვდება ცისფერი

საქართველოში

მაისის მოსვლას,
რადგანაც მაშინ,
რადგანაც მაშინ
პირველი ია ამოდის მთაში...

**ივ წუთს
გაუმარჯოს!**

ღმერთო,
რა მშვენიერი იყო
ის ყვავილი!
(რა ერქვა, არ ვიციდი,
ყაყაო ყოფილა).
მსურდა მომეწყვიტა.
ვერკი გავიმეტე.
იმ წუთს გაუმარჯოს!

ღმერთო,
რა ლამაზი იყო ის ჩიტი!
(სახელი არ ვიციდი მისი,
მთის სკვინა ყოფილა).
შემეძლო მომეკლა და...
მშვილდიდან ისარი
ცისაკენ გაფრინდა...
იმ წუთს გაუმარჯოს!

ღმერთო,
რა კარგი იყო
ის პაწია არსება —
თეთრქათბიანი,
ჩირგვში გასუსული!
(არ ვიციდი, რა იყო,
ბაჭია ყოფილა).
იოლად დავიჭერდი,
ხოლო მე გავვერიდე
ფეხაკრეფით.
იმ წუთს გაუმარჯოს!

●
გაზაფხულია.
ზემილა უშხვანარში,
ქართვანიდან ტევიშამდე,
დიდი თუ პატარა
აქ მოჯარებულა ყველა.
ბრიალა აღმების აღში
ხალხის ზღვა
ირწყვა. ლელავს.
წრეში მაგიდაზე
შედგმული სკამიდან
ლექქს ვამბობ
თითისუნელა ბაღლი.
ხალხი განაბული ისმენს
სტრიქონებს ქუჩიშვილის:

„ღღეს პირველი მაისია
და პირველი გაზაფხული.
წითელ-ყითელ ყვავილებით
მორთული და მოკაზმული...“
დავამთავრე და...
ისეთი ტაში,
თითქოს და მეხი
გავარდა ცაში.
შვეკრთი, შევინდი...
ჩამომსვეს ძირს.
და როცა ხალხში
გავძვრი ძლივს.
აცრემლებული გავვარდი სახლში.
მას შერე მუდამ,
ლექქსისთვის ტაში
რადგანაირად
გამბურძღლავს ტანში.

უშხვანარი. ქართვანი, ტევიში
სოფლებია ზემო სვანეთში.



საფხუანარში

ნახირი
მოღღანე ფერღობს შესევია,
მაღლა მყინვარეთი
ღვივის ბაღასშივით.
არყის ძირას
ვავას ლექქსები მაქვს
მუხლებზე სასოებით გადაშლილი.
იქნებ ამ ლექქსებიდან
აფრინილი

ორბუი ყვირიან ახლა
უფსკრულებთან;
ზემით რომ იალაღია გაფრინდი
მგოსანიც იქნებ ასეთ
ღვიანის უფურება.

ბალახზე ციმციმა
ცვარის სისველა,
ბზინავს ირგველივით,
სანუკვარო.
მუხლებზე, როგორც სატი,
მისვენია
წივნი — მასწავლებლის ნაჩუქარი.

საფხვანოზე

მკლავებგადაჭდობილნი,
მხარბეჭვამართულები,
საფხვანოზე როკავენ
ჩვენი ხვეის მახვებნი...
ყურში მიღვას აქამდე
ზავით იმ ფერსულებს,
იმ პანგების ბაღავით
ვიზრდებოდით ბავშვები.

ახლაც გამალომგულებს
ბურორი „შვარიდა“ —
პიმი სვანთა ლაშქარის,
მომხდურებთან შემბოლის:
თითქოს ზვავი მოსხლტაო
თეთნულდიდან, შხარადან,
თითქოს გაცოფებული
აბორგდაო ენგური.

მაგრამ განა მარტოდენ
გმირული და მქუხარი, —
სულში ჩაფხვნილია
კენესა ჩანგის, ჭუნირის.
ვის არ შეუკრიალებს
„მირანგულა“ მწუნარე.
„იირიოლა“ — სევდისფერ
ნისლით შემობურვილი...

...მკლავებგადაჭდობილნი.
მხარბეჭვამართულები
საფხვანოზე როკავენ
ჩვენი ხვეის მახვებნი.
მომღვეს, მომღვეს აქამდე
ზავით იმ ფერსულების.
იმ პანგების ბაღავით
ვიზრდებოდით ბავშვები



მწერლის პირველი წიგნი „უცნაური ღედობლი“ გამოვიდა 1959 წელს. თავისი ერთ-ერთი ბოლო წიგნის „ერთი კალთა სიყვარულის“ წინასიტყვაობაში მწერალი წერს: „ყველა აღმიანს გააჩნია რაღაც სანუკვარი და საოცნებო. სადაც არ უნდა იყოს, ეს სანუკვარი მუდამ თან სდევს, სიზმარშიც და ცხადშიც! ბოლოს კი მისი სიტოცხლის განუყრელი ნაწილი ხდება.“

ასე იქცა ჩემი ცხოვრების სანუკვარი თანამგზავრად ბავშვობის წლების მოგონებები და ამ ძვირფასი წლების თანაზიარი მრავალი საყვარელი აღმიანი...“

ლოლო ვალაჰკორიას მოთხრობე-

ლოლო ვალაჰკორია - 60

ლოლო ვალაჰკორია იმ ბედნიერ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელთა ნაწარმოებებსაც სულ-მოუთქმელად ეწაფება ნორჩი მკითხველი.

ბის გმირები თავიანთი ოცნებებითა და სწავლა-შრომის სიყვარულით სამაგალითონი არიან ნორჩი მკითხველებისათვის; ისინი ამ მოთხრობებიდან სწავლობენ ერთურობის პა-

ტივისცემას, უფროსებისადმი მოწიწებას, ბუნებისა და ცხოველთა სამყაროს სიყვარულს და რაბატულად მი პატივისცემას...

არ შეიძლება არ მოგხიბლოს განთიადის იმ ლამაზმა სურათმა, მწერალი რომ ფუნჯის ერთი მოსპით ოსტატურად გეხატავს: „მიყვარს ჩემი სოფლის განთიადი. თანდათან იცრიცება დიდი ცა, ნელნელა ნათდება მთის კენწეროები, ჩრდილები ქრება და მთის კალთებზე ნისლი ფრთხება. მზის სხივი არემარეს ნათელს აფენს, იღვიძებს ჩემი ლამაზი სოფელი“.

„პირველი ვინ ავა მთავარზე?“ — ცნობისმოყვარეობით კითხულობენ ახალგაზრდები და თან თვალს არ აშორებენ ვარსკვლავებით მოქედილ უძირო და უსასრულო ცას; „იმ დილას გამოვიცხადეს, პიონერთა რიგებში უნდა მივიღოთ“, — ბავშვების სიხარულს საზღვარი არა აქვს, როდესაც მათ კისერზე აბრეშუმის წითელი ყელსახვევი აფრია-

ლოლო ვალაჰკორია

ახაბაზი და ზარაფთოვილი

მ თ ხ რ ი ა

მონადირეები ჭერ უქოს ტყეში არ იქნებოდნენ შესული, რომ თოვა დაიწყო. ფართო და ხშირი ფანტელები ფუთფუთით მოდიოდნენ დღემოწიასკენ. მალე დაიფარა გაფიხებული ხეები, მიწის ზემოდან დარჩენილი დაკოტირ-დადღვარჩენილი, ხავსმოკიდებული ფესვები. ირგვლივ სულიერი არ ჰაჰანებდა და კიდევ უფრო ჩაუფრდა ტყე, ხეებს შორის მანძილი დაეწიროვდა. მონადირეებს უკან გამობრუნება უნდოდათ, მაგრამ ერთმანეთზე თასმებით გადაბმული ძაღლები ისეთი ძალით მიიწევდნენ, პატრონები ვერას გახდნენ; თასმები შეხსნეს და გაუშვეს აყვებულები.

ძაღლების გნისი წუთში მოედო არამარეს. დადუმებული ტყე და ბუ-

ბუნა ზამთარი ახმიანდა. მონადირეები აღვილიდან არ იძიოდნენ. ერთმა, ალბათ ყველაზე უფროსმა და გამოცდილმა, თქვა:

„იბრუნე, გულს მოიჭირებენ ყეფით, კვალს რომ ვერ მიაგნებენ, ისევ აქ მოვლენა“.

ძაღლები თავისას არ იშლიდნენ. ხტუნვა-ხტუნვით მიზიბოდნენ თოვლში და ერთმანეთს უსწრებდნენ. ერთ წამში გაუჩინარდნენ. ახლა ყრუდ და თითქოს ძალიან შორიდან ისმოდა ყეფა და მხიარული წყაჟყავი. მაგრამ უეცრად ხმა გაკმინდეს. უცნაური სიჩუმე ჩამოვარდა. მონადირეებმა ერთმანეთს გადახედეს. მერე ერთმა ძაღლმა დაიყეფა და სხვებიც აჰყვენენ. უფროსმა მონადირემ ხელით ანიშნა, წამოდიოთ. თან

დაბარდნილ ტოტებს ხელით იცილებდა, გზას მიიკვლევდა. ჩახმაზი შეწიკა.

პატარა ტრიალზე გავიდნენ. რამდენიმე ზეს თითქოს წრე შეეკრათ, თოლი აქ უფრო ბევრი იყო. გავებული ძაღლები ვიდაცას შემორტამოდნენ გარს და კბილებგამოყრულები ხტოდნენ. წინა ფეხები წინ წაედგათ და უყეფდნენ. მაგრამ წრეს არ გადადიოდნენ. დროდადრო რომელიმეს მოთმინება დაეკარგებოდა, მიუხტებოდა ალყაში მოქცეულს. მაგრამ ახლა სხვა ძაღლის ღრემა შემოეამოდა, რაც ალბათ გაფრთხილებს ნიშნავდა და ისევ თოვლში ხტუნვა-ხტუნვით უკან გამობრბოდა.

მონადირე ისევ დაწინაურდა და ძაღლების წრეში გადაიხედა. ერთმა

ახსენი

17463

ლდება; ასეთსავე ერთ გამოუთქმელ სიხარულს ამჟღავნებენ ისინი კომკავშირის რიგებში შესვლისას.

დღოდ ვადაჭკორია თავისი მოთხრობებით მკითხველს ასწავლის, თუ რაოდენ სახიანოა კაცობრიობის ცივილიზაციისათვის ცრუმორწმუნეობა („შუქი“). კომკავშირელები არაფრად აგდებენ სოფლის მღვდლის წინააღმდეგობას და ეკლესიის ექსპონატები მუზეუმს გადასცეს, ეკლესიის შენობაში კი ელექტრონის ძრავა დადგეს და სოფელში შუქი ააქაშაყეს. ეკლესიიდან ჩამოხსნილ ზარს სოფლის სკოლაში მიიტანენ („ქალაქელი“) და გაკეთილების დაწყებისას და დამთავრებისას დარეკენ ხოლმე.

პიონერთა ლაღი, შინარისიანი ცხოვრება დაგვიხატა მწერალმა აგრეთვე მოთხრობაში „ვგორაში-ლოვისებური მსროლელი“.

დღოდ ვადაჭკორიას განსაკუთრებით ეხებრება უბრალო, პატარა აღმანების პორტრეტის მკვეთრი

და ნატივი ფერებით გამოძგრწვა. ამჟერად მხედველობაში მავქს სოფლის უბალო მუშაკაცის, კოლმეურნეობის მკველის, პანკისას სხე. პანკისას ძვალსა და რბილში აქვს გამძღარი მოვალეობის გრძნობა და ერთგულად დარაჯობს სოფლის ჭირნახულს.

დღოდ ვადაჭკორიას მოთხრობების გმირები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ეპყრობიან საყუთარი ქვეყნის გმირულ ისტორიას, იმ გმირებს, რომელთაც სიცოცხლის ფასად დაიცვეს თავიანთი სამშობლოს ნათელი მომავალი („კატინა“).

დღოდ ვადაჭკორიამ მოთხრობების სიუჟეტებად თავისი განვლილი ცხოვრების, თავისი ბავშვობის დღეები გამოიყენა და ნორჩ მკითხველს შომაგონებელი ფერებით ცხოვრებისეული გამოცდილება გაუზიარა, როგორც უფროსმა სულიერმა მეგობარმა.

მწერალი ზემოაღნიშნული მოთხრობების კრებულის შესავალში დიდი სიყვარულით განაგრძობს მისი (ბავშვობის წლებში საყვარელი აღმანები — ზ. ბ.) თითქოს ახალი, ოთხი ათეული წლის შემდეგ, ჩემთან არიან, ძველებურად ისევე ერთად ვიცინით, ვმღერით, ვოცნებობთ. შეყვარებულები შეეყურებთ მოკაშაშე ფირუზისფერ ცას... ისევე აათუთად ეუნასკვავთ ერთმანეთს წითელ პიონერულ ყელსახვევებს და შეუსვენებლოვ ავდივართ მალო. ძალიან მალო მთებზე, რომ როგორმე ხელი მივაწვიდნით კაშაშა მთვარეს...“

ქვიფასო ბავშვებო! თქვენს საყვარელ მწერალ დღოდ ვადაჭკორიას 60 წელი შეუბარულა. ვუსურვოთ მას ბედნიერება, ჭანმრთელობა და ახალი შემოქმედებითი ყურბატებები.

ზურაბ ბოცვაძე,
დოცენტი, ფილოლოგიური მეცნიერებათა კანდიდატი.



მეძებარმა თვალი მოჭკრა პატრონს, შეხედა, შეჭკმუველა და ფეხებთან ისე მიეჭრა, თითქოს რალაცა უნდა უამბოსო.

„რაო, ყვრია, — აღერსიანად უთხრა პატრონმა. — მაგისთვის იკლავლით თავს ამდენი ქვიანი ძალი?“

მეძებრებმა ერთად, მოლაპარაკებულებივით გაკმინდეს ხმა, ჩაქდნენ, თან დროდადრო წკმუტუნებდნენ მოთმინებაგამოლეულები.

ქაშათა, ფაფუკ თოვლში თავი ამოეყო წაბლისმერი, თეთრყელა კვერნას, ყურები დაეკეცბიტა და მოცხარივით შავ თვალებს ატეკებდა წინათებებს ხან ისე წამოიღებდა თავზე, თითქოს თავში იცემო, ხან მხრებთან მიიტანდა; ხან კი თოვლში ჩაიმალბებოდა, თითქოს საბანში იფუთებო, და სველ, შავ ცხვირს ამოყოფდა.

მონადირემ ყველა მეძებარს თავ-

ზე ხელი მოუთათუნა და კვერისისკენ წავიდა. ერთ-ორ ადგილას თოვლი ჩაუვარდა და მუხლამდე ჩაეფლო, მერე თოვს დაეხეინა და ამოვიდა. კვერნამ მისკენ მომავალი აღმანი დაინახა თუ არა, იჩივლა, მერე აჩხავლა. დატრიალდა, რაღაც გადააწყვიტა. მაგრამ მაინც ევრას გახდა და ახლა ცხვირ-პირიც ჩამალა თოვლში. მონადირე დაიხარა პატარა ნადირისაკენ, ცერა და სალოცი თითო სამკუთხა ყურების ქვემოთ კისერში ჩაავლო და ამოსწია, მაგრამ ძვრა ვერ უყო. თითქოს თოვლის ქვეშედან ვიღაც ეწეოდა ფეხზე.

ერთიც ვნახოთ, ყვირიამ ისეუბა, წინა თათები ჩქარ-ჩქარა თოვლი ამოყარა და კვერნას გარს შემოაცალა. კვერნას უკანა ფეხზე ხის ტრუბა გამოსდებოდა და შიგ გაბოზდებულიყო. აღბათ იმტომაც ვერ ისეუბა და ძაღლებს თავზე ვერ გადაახტა. მონადირემ კვერნა სანადირო ჩანთაში ჩასვა. თავი ამოაყოფინა და შინისაკენ გაუდგინე გზას. ძაღლები მორჩილად მიჰყვებოდნენ უკან პატარონებს. მაგრამ მაცაცარა სპოვულს თვალს მაინც არ აშორებდნენ. დროდადრო ჩაუვლიდნენ, ერას შეჰყავდნენ და გზას განაგრძობდნენ. ვინ იცის, დასკინოდნენ თუ უბრაზდებოდნენ.

აიგანზე მონადირეს პატარა ცოცხით ჩამოაბერტყეს ტანსაცმელზე ალაგ-ალაგ მილიანდაგებულებით შერჩენილი თოვლი; ფეხსაცმელები კარგად დაიმშრალა და შინ იაც შევიდა.

ოთახში თბილოდა, სამზარეულოს კარი ღია იყო, ნახვისა და ჩახარკული ხორცის სუნი მოსდებოდა იქაურობას. მონადირეს ემა გემრიელი სუნი და კვერნას ლამაზ, წაბლისფერ, კრივლა თავზე მოუთათუნა. „შენც გიყვარს ჩახარკული ხორცი, თუ უმს მიირთმევო?“

ბავშვები გარს შემოეხვივნენ კვერნას, მაგრამ მიალურსებას ვერ უბედვოდნენ. კვერნა პატარა პირს აკრეპდა და წინ ორ, ნემსივით კბილს

უქნევდა ბავშვებმა გამხდარ ხელებს. „რა გენათ? — იკითხა მონადირემ, — სად გაუვკეთოთ ბუნავი?“

„დაამტრევს ყველაფერს, — თქვა დედამ, მაგრამ ისეთი ლამაზი იყო კვერნა, რომ მაინც გაიღიმა.

კვერნას ერთი დიდი კარადის თავზე ნახმარი თბილი, კრული კაბა დაუფინეს და ზედ დასვეს. გაისუსა, წეულში გაილუნა და ჩაწვა. მერე თავა სწრაფად წამოსწია და რაღაცას დააკტრდა.

ოთახის კუთხეში წითელი ხის პატარა მაგიდაზე წყლის ბუღა იდგა. ცალი ფეხი აჯანჭურებული ჰქონდა. მერე მძალვრად დაედგა სილაში და მედიდურად იცქირებოდა მაღალი, ჩალისფერი ლელიანიდან, თითქოს რაღაცას გასცქეროდა შორს, ვინ იცის, იქნებ თავისი ლალი და ლამაზი ცხოვრება ენატრებოდა.

კვერნას სუნთქვა შეიკრა წყლის ბუღას დანახვაზე — ფრინველს ისე მოეღვრებინა მაღალი, მოხდენილი ყელი, რომ მას ნერწყვი მოადგა, კბილები აუაწკაწდა. მოიგეცა, წინა თათებით კარადის თავს ფხაჯნა დაუწყო, შემოტრიალდა, ფუნფულა კუდი შემოისვია და ქვემოდან გამოიხედა. სადაც სახლის სიღრმეში კარი გაჭახუნდა და კვერნა შეკრთა, კედელს აეკრა, მერე შემობრუნდა და თითქოს მაღლა უნდა ასვლია, თათებით დაუწყო ცემა კედელს. მერე ისევ დაეშვა, უკანა თათებზე შედგა და წინა თათები ქაბთქა შეკრღწ მიიკრა.

წყლის ბუღა ისევ იდგა, იქნებ სარკმლის მინებზე მომდგარი ცისფერი საღამო ტბის ლეკლიცად წყნებდა და. კვერნა აიწურა, მტრგან ჩხიტიუნს, თეთრი გულით კარადის სახურავს გაერთხა და ისეუბა.

თვალის დახამამებში გადაეცლო განიერ ოთახს და მსუბუქად, ბუმბუღივით დაახტა მრგვალ მაგიდას.

წყლის ბუღა არც შერჩეული, ისევ ცისფერ საღამოს გააყურებდა ჩალისფერი თვლებით.

ფრინველის გულადობით გაოცებული კვერნა ერთი შეჩერდა, დაიჩხავლა, დაყნოსა ფიტულის მაღალი ყელი, თათები მოუთათუნა, მერე ადგილზე მოხდენილად შემოტრიალდა. ოთახს თვალი მოავლო, აიწურა, უკანა ფეხებზე შედგა და წინა თათები ისეთი სიძლიერით დაარტყა ფრინველს, რომ ფიტული შეტრიალდა, თითქოს თავის შეკავება სცადა, მაგრამ კვერნამ კიდევ დაარტყა გამტრებით. წყლის ბუღა გადაყირავდა და იატაკზე გადავიდა.

თვითონ კვერნა, გაოცებული თუ შეძრწუნებული აიწვართა, მიხივდმოიხედა, ისეუბა და ერთი ნახტომით ისევ თავის ბუნჯას მიიშურა.





მწერის კრებული № 6

დილა

(ჩანახატი)

დილა... სირმებიან ოქროსფერ კაბაში გამოწყობილ მზეს ნავის ფორმის თეთრ ღრუბლებში მოუკალოთებიდა და ნელ-ნელა მოცურავს ცაზე.

მზის სხივებზე ათასწორად აცილებულმა ნაწიმა ცას შეხვდა, გაუღიმა, გორიალ-გორიალით, ფოთლებიდან ფოთლებზე სკუბ-სკუბით, მზიარული კისკისით მიწაზე დეშეა. მთიდან ბროლისწყლიანი ჩანჩქერი გადმოიქუხს, მისი მხეფები ჰაერში მიძივებით იზნევა და ანარეკლი სხივებით ცისარტყელა წარმოიკმნება. აბიზინებულ ჭყვილში ცვარმა იწყო ცეკვა. აქეთ, მყვანედ აქო-ჩრილ ბალახებში მზიარული ლივლივით მიიკვლევს გაზს ვერცხლის კაბაში გამოწყობილი ნაკადული და უხარია, რომ სწორედ მისკენ მიიჩქარებინა ქორბუდა ირმები და მზიარული შვლის ნუკრები, დათვა თავის ბეჭებთან ერთად. აი, ერთ-ერთი ბელი ნაკადულს მიუახლოვდა, ფაფუკი თათი წყალში ჩაჰყო და ცტაბ ხანი გააჩერა; მერე უცებ ამოსწია და... თათში თევზი არ უფაროთხალბდა! ბელმა გაკვირებისაგან ჩაბუქნა, თევზი კი სწრაფად დაესხებოდა თათიდან და წყალში გადაეშვა.

ბალახებში გაბნეული სხვადასხვა ფერის მარგალიტა ყვავილებს ცვარნამისაგან ასხმული მივიების ყელსაბამით დამძიმებული თავები დაუხრიათ. კეკლუცი პეპლები ჰაერში ნაზად დაფარფატებენ. ცერისსიმისხო მარწყვები, თითქოს ვინმე

დიდებულს ესალმებიანო, მიწაზე გართმულან და თავები დაუხრიათ. გვირილას ყვითელ გულზე მიძინებულმა ჭიაბიამ გაიღვიძა, ფრთები გაშალა და გავრინდა. ფუტკრებიც გამომსლენ თავიანთი სკებიანი; მელაკუდმა თვალები გაახილა, კუნდი გაფეშმეფულა და საუზმის საშინელად წაუტეტულდა...

დილა... მზის იალქანი ისევ ნაზად, ნელა მიაპობს ფაფუკი ღრუბლების ზღვის ტალღებს...

მეა ლომიძემ,
ქ. ლავიძის № 1 საშუალო სკოლა,
VIII კლასი.

ნუ პატივს ვუღეს!

ყოველ ბავშვს აჯერა, რომ დედამისი ყველაზე ღამაში და უფასურესი დედა ქვეყანაზე, ყველასაგან გამორჩეული დედობრივი სითხოთი და აღერსით.

რამდენი უძლიო ღამე უთენიდა, რამდენი ვნერგია დაუხარჯავს, რათა პატიოსანი, შრომისმოყვარე, ზნეობრივად წმინდა და კეთილშობილი ადამიანი აღეზარდა.

დედის თბილი გული და აღერსიანი ხელები იცავენ შვილს ყოველგვარი განსაცდელისაგან, ყოველთვის მხარში უდგამ იგი თავის პირშია, ხარობს მის წარმატებებით და გული უჯდება მისი უსაქციელობით.

„ჩაერი შვილი დედის გულის ვარდიო! — უთქვამთ. და, მართლაც, ჩვენზე — შვილებზეა დამოკიდებული, გაეუხარებთ თუ, პირიქით, დაეუღარდინებთ დედებს გულს. თუ მიინდებამინც ვარდები არა, ცუდები მაინც ნუ ვიქნებით, ყოველნაირად ვეცადოთ დავაფასოთ მათი შრომა და ამაგი.

როცა დედას ეტყვიან, „ჩაერი შვილი გაგზირდიო“, ეს მისი უძილო ღამეებისა და მშფოთვარე დღეების, დაუღალავი გარჯის გამართლება და დფასებაა.

მინდა თანატოლებს ამტკბაროთ თხოვნით: მოდი, ვისწავლოთ ვაგაღ, დავფასოთ უფროსები, ერთმანეთს პატივი ვცეთ, ვიყოთ ისეთები, რომ ჩვენს დედებს არასდროს არ შერცხვებთ ჩვენი საქციელისა, ყოველთვის ემაყობთ შვილების წარმატებებით!

ნუ ვატყენთ გულს ჩვენს ძვირფას დედებს!

ბატონა სომხაძე,
გულირფშის შ. რუსთაველის სახელობის საშუალო სკოლა, VII კლასი.

კახეთი

კახეთი იყო იმედი ჩვენი მთისა და ველისა. მტერთაგან ნატანჯ-ნაწამებს დღეს სიხარული ეღირსა.

გახედე: სიღის ხეგვია, უკიდევანო ზვებთია, ველებზე გოლიათური ოქროფერული ზღვებია.

მაღე რთველის ხმას მოვისმენთ თელავ-გურჯაან-ანმერთი და საქართველოს თამადად დაჯდება ჩემი კახეთი.

ზურაბ ელივრავილი,
თბილისის 71-ე საშუალო სკოლა, I კლასი.

სიმღერა სამშობლოზე

შენთვის დაღვრილი წვიმა ვარ, შენთვის მქროლავი ქარი. შენი დიდი მზის სხივი ვარ და დილის წმინდა ცვარი.

ჩქარი ჩანჩქერის ჩქერი ვარ, შენს სიყვარულზე ვგალობ, შენს სიკარგულზე ვმღერეივარ, თუ ვხარობ — შენით ვხარობ.

ლალი აბიბაშვილი,
თბილისის შ. რუსთაველის სახელობის 112-ე საშუალო სკოლა, VIII კლასი.

**ვარსკვლავი
არ კვდება,
ვარსკვლავი
მხოლოდ
ძრება...**

იმ ზაფხულის დამეს ვარსკვლავებში მოკედლიყო სევანეთის ცა. უცებ ერთი, ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი მოსწყდა ზეცას, გაჰკვეთა წყვედი და აქაფებული ენგურის ზეირთებში შთანთქა.

ფეხზე დადგა მთელი სევანეთი. მეხივით გაეარდა ბორის კახიანის დაღუპვის ამბავი. გლოვობდა ყველა — ქალი თუ კაცი. თითქოს ბუნებაც დამწყურდა: უშბა მოიღუშა, თეთნულდმა ნისლის ძაძები ჩაიცვა, მდინარეებმა მულხურამ და მესტია-ქალამ სამგლოვიარო ზარი თქვეს, აღარსად ისმოდა მზის საგალობელი „ლოლე“.

აღარ იყო ბორის კახიანი, რომელიც გააცოცხლა მითითური მონადირე ბეთქილი ახალგაზრდული კლუბის „ბეთქილის“ სახით და მასში მიუჩინა ბინა-სამყოფელი კლდის ვეფხვს მიხეილ ხერგიანს. მანვე ლატალში „დაასახლა“ გურამ თიკანაძე, ცხუმარში — მირზა გელოვანი, ტიან-შანიდან უხმო ილიკო გაბლიანს და მის მშობლიურ მულახში სპორტულ ნავეობათა კომპლექსი აჩუქა; ბორისმა თავის ერთგულ ახალგაზრდებთან ერთად კომპაევში-

რულ ქალაქ ბორის მწვანეში, თბილისში სევანური კოშკი ააშენა... და კიდევ რამდენი რამ არის სათქმელი.

ბორისის კვალზე ბევრი ქაბუკი ივლის, მის სახელს მუდამ წინ წაიმძვარებენ სიკეთისათვის თავგამეტებულნი.

საქართველოს ცას მოსწყდა ელვარე ვარსკვლავი. მაგრამ ვარსკვლავი არ კვდება, მხოლოდ ქრება...

ლალი ბარბიანი,
მესტიის 1-ლი საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ყაყაჩოები

წითელ ყაყაჩოებს ველი მოუჩითავთ, ო, რა საოცნებო, საამო ფერებია. ლალისფერ ფურცლებში სხივები ჩაბნეულან და სათუთ ყვავილთა გულს ეფერებიან.

ყურს თუკი მიუვდებ, მათი სიმღერები ოქროსფერ სიმებად გულში იღვრებიან,

თითქოს იმ ლამაზი, ზღაპრული ფერებით წმინდა, საოცნებო ჰანგებს გიმღერიან.

მაია მთავია,
წალენჯიხა, ლიის საშუალო სკოლა, VIII კლასი.



ი ნ დ ი ა ლ ი. მიხეილ აგმაშაძე, თბილისის 84-ე საშუალო სკოლა. 9 წლის.

სამშობლო

სადაც ყვავილობს ვარდი, სადაც ყვავილობს ია, ჩემი სამშობლო არის, — ჩემი მამული ჰქვია!

სადაც ბუდე აქვს მერცხალს, სადაც ყვავილნი თრთიან, ჩემი სამშობლო არის, — ჩემი მამული ჰქვია.

ლია ბაქაური,
თბილისის მე-60 საშუალო სკოლა, VII კლასი.

საქართველოს

●
თივის დაბალუღება
●
სალომე ზაპარაია, 9 წლის.

საქართველოს მთა-ბარი, მინდვრები და ველი. მიყვარს ოქროს შემოდგომა. ბედნიერი რთველი. დასუნძლული ზენილი და მობიზიფე ყანა, საქართველოს ჭურ-მარანი, ქართველ დედის ნანა.

ბარინა კოკლამ,
თბილისის 170-ე საშუალო სკოლა, VI კლასი.



ლომის სადილი

ცხოველებს ერთი ადგილი ჰქონდათ ამორჩეული სავანაში, განსაკუთრებით უყვარდათ, რადგან იქ კარგი წყალი და მწვანე ბალახი იყო. მაგრამ იქვე ბინადრობდა მძინვარე ლომი, რომელიც ყოველდღე ორ ან სამ ცხოველს მაინც კლავდა. ერთ დღეს ცხოველებმა მასთან მისვლა გადაწყვიტეს და ერთ-ერთმა ასე მიმართა:

„ძვირფასო ლომო, ვანა არ გაწყენთ მთელი დღე სავანაში რომ დარბიხართ და ნადირობთ? თუ გნებავთ, ჩვენ თვითონ გამოვიგზავნით სადილად თითო-თითო ცხოველს“.

„კეთილი“, — თქვა ლომმა. — მაგრამ, ჯერ ერთი, ახლავე უნდა მომართეთ სადილი, იმიტომ, რომ ძალიან მშობი, მეორეც — სადილი ყო-

ველდღე უნდა მქონდეს. თუ ყოველდღე არ გამოვიგზავნებთ თითო ცხოველი, მაშინ მე თვითონ იმდენს მოვკვლე, რამდენიც მომეხსიათება!“

„არა, ძვირფასო ლომო, თითო ცხოველს ყოველდღე თვითონ გამოვიგზავნით“.

ცხოველებმა წილი ყარეს. იმ დღეს ლომს სადილად ანტილობა შეხვდა. ასე ყოველდღე უგზავნიდნენ ლომს თითო ცხოველს, მაგრამ სიმშვიდე მაინც ვერ ჰპოვეს. ყოველი მათგანი ფიქრობდა: ეპ, ხვალ იქნებ ჩემი ჯერი დადგეს?!“

ერთ დღეს ჯერი კურდღელზე მიდგა, მაგრამ კურდღელი არ ნადლობდა, პირიქით, იცინოდა!

„კარგია, ძალიან კარგი! — ამბობდა იგი, — ნუ გეშინიათ, ლომი მე ვერ შეშვამს!“

და კურდღელი მდინარეზე გაიქცა, ჯერ წყალში ჩახტა, შემდეგ ტა-

ლახში იგორავა და ლომთან სულ ამოხვრილი მივიდა.

ლომმა ეს რომ დანახა, გააჭყრა და. — რად მინდა ასეთი ჭუჭუკიანი ცხოველი სადილადო, — ღრიალებდა იგი.

„ძვირფასო ლომო, არა, მე არა ვარ თქვენი სადილი, თქვენთან დიდი კურდღელი მომყავდა, მაგრამ გზაზე სხვა ლომი შეგვეხვდა და ის კურდღელი იმან დაიტოვა.“

„როგორ, სავანაში სხვა ლომიც არის?“ — ჰკითხა ლომმა.

„ღიახ, გახლავთ, ვეებერთელა, ლონიერი ლომი. მე მგონია, თქვენზე ლონიერი ის უნდა იყოს“.

ლომი განრისხდა, „ახლავე მაჩვენე ის ლომიო“, — უთხრა კურდღელს.

„კეთილი!“ — მიუგო კურდღელმა, — წამოდით, წაიყვანათ“.

ისინი დიდ ჭას მიადგნენ. კურდ-

ღ ე ლ

ხანაც ლხენა ვარ, ხანაც ენა ვარ, ხანაც მღწერა ვარ
დედის,
ხანაც ტყენა ვარ, ხანაც ფრენა ვარ, ხანაც წყენა ვარ
— ერთი;

ხან სხხარული, ხან სიყვარული, ხან სალოცავი
ღმერთი;
ხან სინანული, ხან სიბრალული, ნუგეში ერთადერთი.
ხან ტკივილი ვარ, ხან ტირილი ვარ, შვილი რა არის
მეტცი!

მაინც ოცნება, მაინც იმედი,
ვარსკვლავი ერთადერთი.

წვიმის წვეთი

ჰაერში კრთის, ფოთოლზე თრთის,
ნებაა ცის, ცრის და ცრის წვეთი წვიმის.
ზეციდან წყდება, ცრემლებად დნება
სიცოცხლე ხეთა, სილაღე დღეთა — წვეთი წვიმის.
ნავარდი სურს მის ციციქნა გულს,
პატარა სულს, დიდ სიყვარულს — წვიმის წვეთს.
მავთულზე ზის, ციმციმებს ვით
სხივები მზის, სიცოცხლე დღის — წვეთი წვიმის.
ოცნებად მოდის, სიცოცხლედ მოდის,
ბალახზე კრთება, ბოლოს კი ქრება — წვეთი წვიმის.
უმინზოდ არ ქრება, უმზეოდ არ კვდება.
ღარი რომ დადგება, სიცოცხლე თავდება წვიმის
წვეთის.

ჰაველი თხილისური მოტივები
დათო რაბინინი, 1 წლ.ი.

მდელოში ახლდება,
ის მკვდრეთით აღდგება... სიზმარი ახდება...
ოცნება ახდება...
წვიმს... წვიმს... წვიმს...:

ამთინო მინაძი,
ქ. წულუკიძის 1-ლი სახელი
სკოლა, 7 კლასი.



დღემა შიგ ჩაიხელა.

„შეხედეთ, ის ლომიც აქ არის და კურდღელიც თან ჰყავს“.

ლომმა ტაში ჩაიხელა და წყალში თავისი თავი და კურდღელი დაინახა. განრისხებულმა მათ დასაჭერად ისკუბა ტაში და უკან აღარ დაბრუნებულა!

ახლა კი გამიზარდლენ ცხოველები, დახტოდნენ, ცეკვავდნენ და მაღლობას უხდოდნენ ტყვიან კურდღელს.

ინგლისურიდან თარგმნა
ბახბა ბუაჩიძემ,
თბილისის 65-ე საშუალო
სკოლა, X კლასი.

ჩემი სოფელი

ჩემი სოფელი ღამაზო, ველ-მინდორ ბაღბანიანო, ვაზის რქო და ფსევებო, ვენახო ჩუქურთმინანო, სეხილით სავსე ბაღებო და მოშრიადე ყანებო, მინდორ-ველებზე გამდილო გოგონებო და ვაჟებო, ხალხის ხელებით შექმნილო დოვებით ბარაქიანო, ჩემი მშობელი დედა ხარ, ჩემი მამული გვიანო.

ლია პაპიძე,

ახალციხე, აწყურის საშუალო სკოლა, VII კლასი.

საქართველოს მშვენიება

ია ამშვენებს მდელისა, მწვანე ბალახი ველობსა. ჩვენი სწავლა და შრომა კი — საყვარელ საქართველოსა.

გაზაფხული

გაზაფხული მოვიდა, თოვლი დნება მთებზე, მწყემსმა ცხვრების ფარა გამოფინა ველზე.

ცხრათვალა მზემ მიწა გაათო და მორთო, მალე კვირტი დაჩეკავს ყვავილსა და ფოთოლს.

მისიძი მამამლიძევილი,
თბილისის 51-ე საშუალო
სკოლა, VI კლასი.

ზამთრის უაზნაზია

თითქოს ვიღაც მეწისქვილემ კალთა დაიბერტყა, — ფანტილები, უამრავი, ირგვლივ შემომერტყა.

თეთრზე თეთრი თოვლის ფიფქი წამწამს კეიდება, გულზე რაღაც უცნაური ცეცხლი მეიკდება.

მაღე, მალე გათენდება სანატრლი დილა, ეარენული გეს ღამაზო არემარე აზაზიროსი როგორ დათოვლილა!

ლალი აპაველავილი,
კიათურა, ზედუნის საშუალო სკოლა, X კლასი.

დილა

განთიადის მოახლოებას ნაზი ცემციმით ამცნობს ცას ცისკარი. ცა ნელა გაშლის ცისფერ ფრთებას, დედამიწას გადააფარებს და გულგანგმიერულ შავ ღამეს საღდაც ისეთ ღრმა ხევში მოისვრის, ძებნით რომ მოკვდეს, მიანც ვერ იპოვნი. სულ ცოტაც და მზეც იკადრებს მოზრბანებას, ჩუმად ამოყოფს თავს და ცა, ნაწყენი იმით, რომ მზეს წინ ვერ შეეგება, გაწითლებული მორცხვად დახრის თავს. მზე ნაზად შეარბევს ოქროსფერი ყვავილებით შემკულ კვერცხის გულივით ყვითელ თმებს და თითქოს აინუნშიც არ მოსდისო ცის სიწითლე, ისე წამოგორდება მხარეთქოზე და ამაყად გადმოხედავს მისი მოზრბანებით აფუსფუსებულ ქვეყანას.

ნანა მრამდოშვილი,
მცხეთის 1-ლი საშუალო სკოლა,
VIII კლასი.



სახიროლდ მარბს კიანაძე
10 წლის.
მცხეთის რაიონის
წეროვის საშუალო
სკოლა.




მამაკიღმაკი
ღარანაკაში.
ლიანა
ნონინაშვილი
10 წლის.
მცხეთის რაიონის
წეროვის საშუალო
სკოლა.



ჯამთრის ღილა

ფიფტი მოდის მაღლიდან
ფრიალ-ფრიალ-ფრიალით,
თამრო მიდის სკოლაში
ცქრიალ-ცქრიალ-ცქრიალით,
ზარი რეკავს ჩქარ-ჩქარა
წყრიალ-წყრიალ-წყრიალით.

ცხენანი.
●
ჯურაბ
ნიკოლაი-
შვილი
9 წლის.



წიგნი

სულ პირველად, სულ პირველად,
როცა წიგნი გადავმაღე,
მომეგება ნაზი ია,
ასე მითხრა: — გენაცვალე,
დაეწაფე ცოდნის წყაროს,
შეიტკბე და შეიყვარე,
რამდენ მხარეს მოგატარებს
მოგიყვება რამდენ რამეს.

ბერე სასწაულს აღმოაჩენ,
თუკი წიგნი შეიყვარე,
განხი მისი მეგობარი
და სამშობლო გაახარე.

გმანდა ანდლასამ,
თბილისის 77-ე საშუალო
სკოლა, III კლასი.

თოვს...

თოვს...
თოვს...
თოვს...
ფიფქები მიქრიან შორს.
თოვლი ათეთრებს მოლს.
ბუსარი უჯავრდება ბოლს.
თოვს...
თოვს...
თოვს...

მანანა ზაქარაშვილი,
საჩხერე, გორისის საშუალო
სკოლა, VIII კლასი.

შეაჩინდაბისას...

დღე თანდათან იცრისებოდა... ჩა-
მავალმა მზემ ცეცხლისფრად შეაფე-
რდა ცის ტატნობი. მზე საოცრად

მომავამამე
კინძო
მამა
ზაჩუპარი
●
7 წლის,
თბილისის
84-ე საშუალო
სკოლა.



როს მძივებით აკაფდნენ ვარსკე-
ლავები, მერე მთვარეც გამოჩნდა,
ამაყი, მშვიდი და ღინჯი.
საღლაც, შორს კი ბუღბუღი იავ-
ნანას უგალობდა დედაბუნებას.

ირმა ზაქარაშვილი,
სამტრედიის რაიონის სოფელ გამოჩი-
ნებულის საშუალო სკოლა, VIII კლასი.

ნაქვი

ქარი ამოვარდა. მთელი/ გაკეთი-
ლი ქროდა. ქარი ზეგებს ლამის მიწას
აკრავდა.

დასვენებაზე ხმა დაირბა, წინა
ეზოში ნაძვი გადატყდაო... იმ წუთ-
ში იქ გაგჩნდი. საცოდვი ნაძვი! ის
ჯერ კიდევ ნორჩი იყო და ქარს ძი-
რიანად ამოგლიჯა, ფესვები გამოე-
ჩინა. საწყალი!.. ვერ მოასწრო დაღე-
ტბო აღამიანის თვალი თავისი სილა-
მაზით.

დაყუარბდი ნაძვს და ვფიქრობ-
დი, დიხანს ვფიქრობდი. გულში
დავბირდი, რომ გაზაფხულზე მის აღ-
